სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№01-04/47 **ბ რ ძ ა ნ ე ბ ა** 13.07 2022 წ.

2022-2023 სასწავლო წლისათვის დეპარტამენტების საერთო და პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების მომზადების ღონისძიებათა შესახებ

2022-2023 სასწავლო წლისათვის დეპარტამენტების საერთო და პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების მომზადების პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ვბრძანებ:

1. **დეპარტამენტების საერთო და პროფესორ-მასწავლებელთა 2022-2023 სასწავლო წლის ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების მომზადების პროცესში სახელმძღვანელოდ იქნას მიღებული აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 6 ივნისის № 61(21/22), № 62(21/22), № 63(21/22) დადგენილებები.**
2. **ფაკულტეტების დეკანებმა:**

- სტუდენტთა მიმდინარე კონტინგენტის საფუძველზე სპეციალური განკარგულებით განსაზღვრონ 2022-2023 სასწავლო წლის შიდასაფაკულტეტო სალექციო, პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობების ნაკადები 2022 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დეპარტამენტების ხემძღვანელებთან ერთად დააზუსტონ აწსუ-ს 2021 წლის 5 ნოემბრის №01-05/1043 ბრძანებით დამტკიცებული და კურსების სასწავლო გრაფიკში მითითებული კოდების შესაბამისობა;
- შიდასაუნივერსიტეტო შეთავსებითა და საათობრივი ანაზღაურების წესით მოსაწვევ კანდიდატთა ხელმოწერილი პერსონალური სიები წარადგინონ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო-მეთოდურ განყოფილებაში 2022 წლის 7 სექტემბრამდე.

- შესაბამისი დეპარტამენტების საერთო და პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვები ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე განხილვის შემდეგ შემდგომი მონიტორინგისათვის წარადგინონ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო-მეთოდურ განყოფილებაში 2022 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით.
- უზრუნველყონ სასწავლო-მეთოდური განყოფილების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგების საფუძველზე დეპარტამენტების საერთო და პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების დამტკიცება ფაკულტეტის საბჭოზე და სასწავლო -მეთოდურ განყოფილებაში წარდგენა 2022 წლის 22 სექტემბრისათვის.

3. შესაბამისმა სასწავლო სტრუქტურულმა ერთეულებმა (დეპარტამენტის ხელმძღვანელი, დეკანატი) ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვის განსაზღვრისას დაიცვან ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები:

3.1. ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების განაწილებისას, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით დაიცვან შემდეგი თანმიმდევრობა: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ - პროფესორი.

3.2. გაითვალისწინონ, რომ ლექციის წაკითხვის უფლება ეძლევათ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებისა და რექტორის თანხმობით.

3.3. იმ შემთხვევაში, როდესაც დეპარტამენტის ყველა წევრს აქვს მაქსიმალური დატვირთვა და საერთო სასწავლო დატვირთვის მოცულობა აჭარბებს დეპარტამენტის წევრების ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების ნორმით დადგენილი მოცულობის ჯამს, სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, შტატის ზემოთ შესრულებული საათები ანაზღაურდება საათობრივად აწსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2022 წლის 6 ივნისის № 61(21/22), № 62(21/22), № 63(21/22) დადგენილებებით განსაზღვრული ნორმატივების შესაბამისად.

3.4. შტატის ზემოთ დარჩენილი სამუშაოს შესასრულებლად შესაძლებელია დეპარტამენტის წევრის საათობრივი წესით მოწვევა ერთი სასწავლო წლის ვადით. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც შტატით მომუშავე აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვა არ არის მაქსიმალური, მაგრამ წასაკითხია ისეთი საგანი, ან

სპეციალური კურსი, რომლის ჩატარება დეპარტამენტის წევრებს არ შეუძლიათ, დასაშვებია შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მოწვევა საათობრივი ანაზღაურებით, აწსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ნორმატივების დაცვით და მათი დაფინანსება განხორციელდეს შესაბამისი ფაკულტეტის ხარჯვითი ლიმიტიდან.

3.5. ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობების ჩასატარებლად გარეშე პირთა მოსაწვევად გამონაკლისი დაიშვება, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ ამას მოითხოვს საგნის სპეციფიკა, ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული შუამდგომლობით და უნივერსიტეტის რექტორის თანხმობით. მათი დაფინანსება განხორციელდეს შესაბამისი ფაკულტეტზე ფაქტობრივად არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

3.6. პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარების, სასწავლო , საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელობის უფლება მიეცეთ აწსუ-ს სასწავლო - დამხმარე პერსონალის შემდეგ კატეგორიებს:

ა) იმ თანამშრომლებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი, ან არიან აწსუ-ს, ან საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის დოქტორანტები;

ბ) მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მოხდება აწსუ-ში დადგენილი წესის მიხედვით;

გ) შესაბამისი პრაქტიკული გამოცდლების მქონე იმ სასწავლო დამხმარე პერსონალს, რომლებიც ვერ ხვდებიან ამ ბრძანების 3.6. პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კატეგორიაში, მაგრამ რომელთა მიმართ არსებობს შესაბამისი დეპარტამენტის, ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული შუამდგომლობა (გამყარებული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით) და უნივერსიტეტის რექტორის თანხმობა, ასეთ შემთხვევაში მათი საათობრივად მოწვევის ბრძანება გაფორმდეს აწსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ნორმატივების მიხედვით, ხოლო შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მოხდეს აწსუ-ში დადგენილი საათობრივი ანაზღაურების წესის მიხედვით;

დ) ამ ბრძანების 3.6. პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობებისგან განსხვავებული მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში, რომელთა მიმართ იარსებებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული შუამდგომლობა მათი დაფინანსება მოხდეს შესაბამისი ფაკულტეტზე ფაქტობრივად არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

4. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებმა :

4.1. უზრუნველყონ აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო-მეთოდურ განყოფილებაში წარდგენილი კურსების სასწავლო გრაფიკების შესაბამისობის დაცვა.

4.2. 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში, ამ ბრძანების 4.1. პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებში ყველა სახის ცვლილება განახორციელონ, მხოლოდ აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

5. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა (ასოც. პროფ. თეა კორძაძე):

- 2022 წლის 18 ივლისამდე დაასრულოს კურსების სასწავლო გრაფიკების მონიტორინგი და შესაბამისი ხელმოწერები მიაწოდოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო-მეთოდურ განყოფილებას.
- საგანმანათლებლო პროგრამებისა და კურსების სასწავლო გრაფიკების შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა დაეკისროთ ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს.

6. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა (უფროსი პროფ. იმერ ბასილაძე)

- ფაკულტეტების დეკანატებისა და დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მონიტორინგის საფუძველზე განსაზღვრონ დეპარტამენტების საერთო და პროფესორ-მასწავლებელთა 2022-2023 სასწავლო წლის ინდივიდუალური სასწავლო დატვირთების მოცულობის დადგენა 2022 წლის 15 ოქტომბრამდე.
- წარმოდგენილი და გადამოწმებული დატვირთვების შესაბამისად ხელი შეუწყონ აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის, ხელშეკრულებით, საათობრივად მოსაწვევ სპეციალისტთა სათანადო დოკუმენტაციის მომზადებას.

7. კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ძირითადი მენიუს პუნქტში „სწავლა“, ქვემენიუ: „სასწავლო პროცესი“.

8. კონტროლი აღნიშნული ბრძანების პრაქტიკულ განხორციელებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს ასოც. პროფ. შალვა კირთაძეს.

საფუძველი: აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 2022 წლის 6 ივნისის № № 61 (21/22), 62 (21/22), 63 (21/22) დადგენილებები; აწსუ-ს რექტორის ბრძანებები: 2021 წლის 05.11 №01-05/1043; 2022 წლის 18.05 №01-04/32; 2022 წლის 01.07 №01-04/43; 2022 წლის 04.07 №01-04/44, 2021-2022 სასწავლო წლის სტუდენტთა კონტინგენტი.

რექტორი — პროფესორი როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი — პროფესორი იმერი ბასილაძე